



ახალი წლის წინა ღამით „ნიანგის“ მრგვალი მაგიდასთან ძლივს მოგუყარე თავი ჩვენს კეთილისმსურველებს. იმიტომ კი არ გამიჭირდა მათი თავშეყრა, რომ პრობლემა არ აინტერესებდათ. უბრალოდ, ყველამ პირველობა ისურვა და თამაძის ადგილზე იქაჩებოდა. ნაცად ხერხს მივმართე, საითაოდ ყურში ჩაეჭურჩულე: პირველი, რა თქმა უნდა, შენ ხარ, მაგრამ იმათაც ეგონათ, პირველები ვართო, შენ რა გენადვლება-მეთქი. ასე შეგვკრიბე ჩვენი კეთილისმსურველები, ჩვენი ერის შემამკობლები. ვინ აღარ იყო აქ, ასტაფიევი გინდა, რასპუტინი თუ რიბაკოვი, ცვეტოვი, გნებავთ, ჯუღინცევი, ზეიშალი, კოზლოვი თუ სხვანი და სხვანი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი.. კატკოვისა და პატკოვის სული ტრიალებდა დარბაზში, უკვდავი სული, საბჭოურ ნიადაგზე გადმონერგილი და ძველებურად სურნელოვანი. ახლა იმას ნუ გამოვიკვლივთ, რა სურნელება იყო ეს. ყოველ შემთხვევაში, ხალხთა დიდი სიყვარულით იყო იგი გამონეული, სიყვარულით, რომელიც ნიანგს (ეურნალს კი არა, ნამდვილ ნიანგს) შეუძლია გამოიჩინოს ყველა არა-ნიანგისადმი და საყვარელ მიღწეულ საყვარელი არსების გადასარჩლების პროცესში ცხარე ცრემლებით დაიტვირთოს..

პირველი სიტყვა, როგორც ყველაზე გამოცდილსა და მსოფლიანს, ამავე დროს ინტელიგენტობაზე თავდადებულს, ცხადია, ჯუღინცევს ეკუთვნოდა. საესებით სამართლიანი იყო მისი შენიშვნა ასტაფიევისადმი:

— როგორ გეკადრებათ, ვიქტორ პეტროვიჩ, ქართველებზე რომ ბრძანებთ, დიპლომებს ყიდულობენო! მე კარგა ხნის წინათ დავეჩერე, რომ ქართველები დისერტაციებს ყიდულობენ, შემდეგ პროფესორები ხდებიან და დიპლომებს ყიდიან. ეს არ უნდა შეგშლოდათ!

ასტაფიევს, რა თქმა უნდა, შერცხვა, მაგრამ ისტიბარი არ გაიტხვა:

— სამაგიეროდ თქვენ არ შეგიმჩნევიათ, რა უშრო ჩიჩახვი აქვთ ქართულ ინდაურებს და ქართველების ბრონეულები ციმ-

ბირის წყლულით დაავადებულ ღრძილებს ჰგავს. მე კი ესეც დავეჩერე!

— ვიქტორ პეტროვიჩს ძალიან უყვარს ქართველები, — საუბარში რასპუტინი ჩაება, — ჩვენ ხომ, საბჭოთა ხალხები, ერთ კომუნალურ ბინაში ვცხოვრობთ, მეზობელს რომ სენი შეეყრება, განგაში უნდა ავტეხსო! მეტი რა გააკეთა ასტაფიევი? ილაპარაკა იმ სენზე, რომელიც ქართველ ხალხს სჭირს და მთელმა ქვეყანამ იცის მართალია, კომუნალურ ბინაში საერთო სამზარეულო და ტუალეტი გვაქვს, იქაურობა ამჟამად კომბოსტოს სუნითაც ყარს, მაგრამ ყველანი ერთმანეთის საქმეებში ცხვირს ვყოფთ. ამას რა სჯობია!

— კარგია, კარგი, მე და ჩემმა ღმერთმა — თვალები გაუბრწყინდა რიბაკოვს და ღრმად ჩაისუნთქა, ალბათ კომბოსტოს სუნი მოენატრა.

— თქვენ მაინც არაფერი გეტქმით, — მიუბრუნდა მას რასპუტინი, — შეურაცხყოფლად წერთ ციმბირელებზე, მათ გონებაშეზღუდულობაზე, გოგოების სექსუალურ გაწურჩელობაზე. არ გეკადრებათ ეს! აგერ არ არის საქართველო? წერეთ, რამდენიც გინდათ! ციმბირს შეეშრეთ, იმაზე სუფთა არაფერია ამქვეყნად! ახლა რიბაკოვს შერცხვა, მაგრამ არც მან გაიტხვა ისტიბარი და ასეთი სენტენცია წამოიძახა:

— სტალინი საქართველოა!

ყველა ერთსულოვნად დაეთანხმა. ტაშიც კი დაუკრეს, მაგრამ ცოტა შეშურდათ, რომ ასეთი სიბრძნე თვითონ არ მოსვლიათ თავში. იმაზე დიდი სიბრძნე რა უნდა იყოს, რომ შეძლოთ თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შენ რომ გეკუთვნის, ის სივლახე არა მარტო სხვას გადაულოცო, არამედ მთლიანად მას გაუტოლო!

ცვეტოვმა საჩვენებელი და ცერა თითი სათვალე შეისწორა და ასეთი პოლიტიკური მიმოხილვა გააკეთა:

— ჩვენმა ერთმა სპორტულმა კომენტატორმა სამართლიანად მიუთითა, რომ მანდარინის მნიშობის დროს ქართველი ფეხბურთელები ქულას ქულაზე აგროვებენ. რა ვუყოთ, რომ მანდარინი ნოემბერში მოდის, ისინი კი თავიანთ საფეხ-

ბურთო საქმეებს სექტემბერში აგროვებენ. ჭეშმარიტების დასადგენად ამას — რა მნიშვნელობა აქვს!

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ! — ხელი აუქნია ასტაფიევმა, — მაგ მანდარინსა და შერეულ ქორწინებაზე ლაპარაკისთვის ქართველებმა ორჯერ მოგახდევინეს ბოდიში! აგერ შემოგვხედე ჩვენ, აბა, რომელიმე თუ მოვიხადეთ ბოდიში? რა „იზვიინი“ და „ნე ტაჰ სკაზალ“ აგიტყდა!

— არა ხართ მართალი, ვიქტორ პეტროვიჩ! — არ დამო პოზიცია მიმოხილველმა, — ეს რა ბოდიში იყო! კი ვთქვი, ცოტა შემეშალა-მეთქი, მაგრამ ექვე სომ დაფუძნა: საქართველოში შერეული ქორწინების მაღალი პროცენტი ყოფილა, აფერმ თქვენს ვაჟაკებს-მეთქი. ამით ხომ უფრო განვამტკიცე აზრი, რომ შერეული ქორწინება ინტერნაციონალიზმს ნიშნავს, არაშერეული — ნაციონალიზმს. რა მიშვნელობა აქვს, რომ შეიდი პროცენტი შერეული ქორწინება შევაქე, 93 პროცენტი ხომ ნაციონალისტად მოვნათლე! ეჰ, ყველაზე დიდი ინტერნაციონალისტი მაინც შაჰები და სულთნები იყვნენ — ათასობით სხვადასხვა ეროვნების ცოლი ჰყავდათ..

საუბარში ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ზეიშალი ჩაერია:

— არა ხართ მართალი, ამხანაგებო! ქართველების ნაციონალიზმი მარტო ამაში არ გამოიხატება. რატომ არ ამბობთ იმას, რომ ამ გაუგონარმა ასიმილაციონებმა შთანთქვეს ისეთი ერები, როგორიც არიან მეგრელები, სვანები, აჭარლები, იმერლები, კახელები, ქართლები, მესხები, გურულები, ფშაბ-ხევსურები, თუშები, ჭოპორტელები, ბანძელები, ვარიანელები და ბანოჯელები! ვინ მოთვლის კი-დექი..

რიბაკოვმა მხოლოდ სინანულით გაიქნია თავი და ჩაილაპარაკა: „აი-აი-აი..“

აქამდე ჩუმად იყო, მაგრამ ვეღარ მოითინა მეცნიერმა კოზლოვმა და ბრძანა:

— საერთოდ, რა სისულელეა, ვინ მოიგონა ეს ეროვნება! ეს ხომ წარსულის გადმონაშთია, ამხანაგებო! ჩუვაში რომ ყაზახეთში უკრაინელ გოგოს შეირთავს, მათ შეიღს პასპორტში რატომ უნდა ჩაუწერონ მშობლების ეროვნება, როცა ის რუსულად ლაპარაკობს! საერთოდ, უნდა ამოვიღოთ ეს პუნქტი პასპორტიდანაც და ყველა ანკეტიდან. ქართველობა თუ ვინმეს უნდა აჩვენოს, ჩონხთ იაროს, ასევე უზბეკსაც თავისი ტანსაცმელი აქვს.

— აბა-აბა-აა! არ გამაგონო!

— რას ამბობს, გაგიყდა?

— სუ, ბიჭო!

— ყველა აღშფოთდა, ყველა აყაყანდა.

ცოტა რომ მიწყნარდნენ, პოლიტიკურად ყველაზე გამოვრძმედილმა, პროფესიით მიმოხილველმა ცვეტოვმა აიღო სიტყვა:

— არსად წამოგცდეს, ამხანაგო, ასეთი აზრი, მით უმეტეს, მსოფლიოს მრავალენაზე გამომავალ „მოსკოვსკიე ნოვოსტ-ში“ ეროვნება რომ გაგაუქმეთ, ვილას დავაბრალეთ ჩვენი უბედურება, როგორღა ვლანძლოთ ქართველები, ერთი ვნახოთ და, ჩოხა არ ჩაიცვებს!

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს, რომ ეროვნება ძალაში დარჩეს და მოხდეს ანტიქართული ძალების შედგომი კონსოლიდაცია ამა-სობაში ახალი წელიც დადგას.. აბა თქვენ იცით, ჩვენი კეთილისმსურველები..

რომან მიხინოვსკი



მეგობრული შარვი რეკლამა გაბრიანიძისა



მეგობრული შარვი რეკლამა

გიგა ლორთქიფანიძეს

კარგ სიტყვას რომ ჰქვავს კაცი, ან კარგად რომ
მღერის კაცი,
რა ვქნა, მიყვარს... მით უმეტეს, მიყვარს კაცი —
ერისკაცი!

ცნობას გაძლევ, ძმაო გიგა, რომ იცოცხლებ ერთი
ამდენს!
კვლავ სამოცი წელი დარჩა შენი ფარდის დახურვამდე!
გაგიმარჯოს პაპის როლით, ქმრის როლით და მამის
როლით,
ნიჭიერი სამი შვილით და ლაურეატი ცოლით!

კვლავ მოუგერიე მტრები საქართველოს ე მაგ ჯოხით!
ეკრანს გაღმა გადარეკე პროვოკატორების ჯოგი!

კიდევ ერთხელ გაგიმარჯოს! უფრო სწორად —
გიგა მარჯოს!
გეშრომოს და ბევრი მოგცეს და კაცურად დაგეხარჯოს!

დღეის მერე გაჭირვება არ გენახოს თავის დღეში!
მომილოცავს! — ცალი ფეხი უკვე გიდგას სამოთხეში!

ელგუჯა აბაშუკელს

გაიხედავ და — ელგუჯა! მოიხედავ და — ელგუჯა!
ისე, ბატონო ელგუჯა, როდის ეწვევით ჩემ ქუჩას?

შეპყურებს დედათბილისი კრავივით საწყალ
ფიროსმანს!
ახალი პეწი შესძინა თბილისის სანაპიროს მან!

საკუთარ სულის კვარცხლბეკად აღარ იკმარე მტრები,
და ქართველის დედის სახელით უფრო მაღალზეც
შედექი!

ისმის კმაყოფილ მუშების განკარგულება: —
შემდეგი!

მარტო ქუჩები კი არა, სოფლის პაწია შუკებიც
ელიან, როდის ეწვევთ საქრეთლით ამაშუკელი!

სტადიონებზე სიარულს ამ ბოლოს რისთვის უკელი?
რად გადაიგდე ქედიდან გულშემატკივრის უღელი?
აკი შენც ვინმე მესხი ხარ — შედექის ქმარიც,
მელექსეც!

შენ გაგიმარჯოს, ოსტატო, ცაში, წყალში და ხმელეთზე!

თქვენი თაყვანისმცემელი „ნიანბი“

საწარმო-სამომხმარებლო გაერთიანება „თეთრ ფეხთაშში“ შტატების მოსალოდნელ შემცირებას თან ახლდა ხელმძღვანელ მუშაკთა ურთიერთდაპირება და პენსიაზე ძალით გაცილებად გაიძვირება! უმუშევრობისათვის გაწირეს ბევრი უტყინო და ბატი, მაგრამ ამით არ დაითავრებულა დებატი, მაშინ გაერთიანების გენდირექტორმა ნომენკლატურულ მუშაკთათვის ანექტების შევსება ბრძანა, ანექტის უმთავრესი გრაფა იყო „ახურავს თუ არა ნაშუსის ქული?“ და იქვე, ფრჩხილებში, მითითებული იყო: „იქუ ახურავს, აღნიშნოს, როგორი, ბურძგლა, ყურებიანი, კები, ფაფახი...“.

ნომენკლატურულ მუშაკებს დიდი ფიქრი არ დასჭირვებიათ, ყველამ „ბურძგლას“ გაუსვა ხაზი — ასეთი ქული თვითონ გენდირექტორს ეხურა.

მაშინ მორიგი განკარგულებით შეფმა ყველა ნაშუსისქულიანი მუშაკი საახალწლო ბანკეტზე მიიწვია და შესავალი სიტყვაც თვითონვე ბრძანა:



— ძვირფასო კოლეგებო! თქვენს ქულებს რომ ვუყურებ, ეჩქრობ, რომ აღამაზური ფაქტორი, როგორც პრობლემა, ჩვენთან მოგვარებულია!

ამ სიტყვებს ყველა ტაშით შეხვდა.

— ...მაგრამ, მეგობრებო, კადრების მოსალოდნელმა შემცირებამ თავდაყირა დააყენა ყველა ჩვენი საუკეთესო გამოცდილება. ძველი დანადგარების შეცვლა ახლებით გასაგებია, მაგრამ როგორ გინდა მოძველებული უწოდო კაცს, რომელიც ხუთი ბოთლის დაღვევის შემდეგაც კი შენზე უკეთ აზროვნებს?! ჩვენი ერეკლე მეფე ოთხმოცს შტატებზე იყო, როცა



კობტა ბელადი ხმლით ჩამოაგდო ცხენიდანს..

— ...ჩვენ, ერთი მხრივ, გვჭირდება საქმეში ღრმად ჩახედული, კომპეტენტური კადრები, მეორე მხრივ — ახალგაზრდული ნაკადი თავისი დაუცხრომელი ენთუზიზმით!.. მე, როგორც ხელმძღვანელი, ვერც ერთის მხარეს დავიჭერ, ვერც მეორისას! ასეთ შემთხვევაში ერეკლე მეფე იტყვოდა, **ხმალმა გაგვასწოროსო**, მაგრამ ჩვენს დროში ყველა მახვილი სამუდამოდ ჩაგებულია!.. რით გინდა, შენი ვაჟაკობა დაამტკიცო? დავგრჩენია მხოლოდ ერთი — სპორტული ასპარეზი! ჩვენი ბურთი და მოედანი ამჟამად სუფრას, მეგობრებო! მიუყუსდეთ და ქული ჭერსა ვკრათ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით! და რახან ყოველი ასპარეზობა მსახის გარეშე წარმოდგენილია, ყველაზე მიუყვარძობებელ არბიტრსაც ახლავე წარმოგიდგინო! — გენდირექტორმა სავსე ფუფერი ასწია, — ეს გახლავთ ყველა თქვენგანისთვის კარგად ცნობილი ქართული ღვინო! ტყუილად კი არ ამბობს ლათინური ანდაზა „**ინ ვინო ვერიტას**“ — **ღვინოშია სიმართლე, ღვინო ტყუილს ვერ იტანსო!** მას ასე, დავიწყოთ, მეგობრებო! ლუდის კათხას როცა ჩამოვატარებთ, დაწყებითი რგოლის ხელმძღვანელები მაშინ კრავენ ქულს ჭერში, „ნიხვით“ საესე „ჩიხვი“ ჩამოივლის და მოძ-

დენო რგოლის ხელმძღვანელები იასპარეზებენ, უმადლესი რგოლის ხელმძღვანელები კი „მანავით“ სავსე „მარნის“ გამოცლის შემდეგ ჩააბარებენ გამოცდას ქულის ყოველი მტყორცნელი ვალდებულება ჭერს უწვდინოს და უკან ჩამოგარდნილი კვლავ თავზე დაიხუროს ისე, რომ ატესტაციის დამთავრების შემდეგ თავი ქულში უნდა ჰქონდეს. ვისაც მოეჩვენება, რომ ორი თავი აქვს და ორ ქულს წაებოტინება, ხოლო ბოლოს ვერც ერთს ვერ დაიჭერს, წაგება ჩაეთვლება..


გენდირექტორმა ფუფერი დაცალა და კათხა შეავსო. ასპარეზობა დაიწყო!..

სათი თორმეტს უახლოვდებოდა, როცა „მარანმა“ შემოიარა სუფრა და რამდენიმე ქული კანტიკუნტად აიტყორცნა ჭერში. დირექტორს კარის დარაჯმა მოუტრბენინა, მოადგილეებმა თვითონ შეძლეს თავიანთი ქულების პოვნა, ოღონდ მხოლოდ ორმა შეძლო სათი თავზე დახურვა, განყოფილება და სექტორის გამგეთა მხოლოდ უმცირესობას ეხურა ქული, დანარჩენები იატაკზე დაბოტავდნენ, ზოგს მათლაფა ეხურა თავზე, ზოგს — ჯამი, ზოგს — ფინჯანი, ბევრს ეძინა. გენდირექტორს ბრძოლის ველიდან განზე გაჰყავდა გამარჯვებული, მაგრამ ძალზე შეტოტავებული ლაშქარი და თვითონ ქულებიანი მხოლოდ ქულიანებს ულოცავდა ახალ წელსა და შტატში დარჩენას ერთად.

ელგუჯა მერაბიშვილი



სარიოზულ შეშფოთებას იწვევს მოძრაობის უსაფრთხოების მდგომარეობა. ხაზზე გაუშართავი გამოდის ყოველი მეთხე სატრანსპორტო საშუალება.



ნ.ბ. ბ. ლომიძისა

უსიტყვოდ

ბიუროკრატთა შეთანხმება

მე რომ ვიტყვი: — კი! მაშინ შენ თქვი: — არა!
მე რომ ვიტყვი: — არა! მაშინ შენ თქვი: — კი!
გამოგვივა გარდაქმნა კი არა, არა-კი!

კუკუური კუკულაქე

სადღებრძელო საახალწლო სუფრასთან

მეგობრულად ყველას ვუყუფოთ სარჩოს,
ვართ სილალით და სიკეთით სავსე!..
დაე, ყველა სტუმარს გაუმარჯოს,
მასპინძლობას ვინაც დაგვიფასებს!

მას კი ლუქმა შერგებოდეს შხამად,
ვინც ჩვენს სუფრას გალანძღავს და არევის!..
ქართველებო, გულუხვობა კმარა! —
ასეთ სტუმარს ნუ გავუღებთ კარებს!

ვანო ცინცაძე

ნაკვესები

- ბაზარს ცეცხლი ეკიდა, კოოპერატივმა კი წყლის მაგიერ ნაფთი გადაასხა.
- ერთი დანახვებულებაში წესად ჰქონდათ — კრებებსა და სხვა ღონისძიებებს ხელფასის დღეს გეგმავდნენ.
- ძალიან ზრდილობიანი ახალგაზრდა მგზავრი იყო, იჯდა თავისთვის ტროლეიბუსში ან ავტობუსში, თავი ჟურნალ-გაზეთებში ჰქონდა ჩარგული... და მაინც უზრდელს უწოდებდნენ.

აკაკი ქაჭვინიანი

ფრაზები

- ახალი, 1989 წლიდან იხსნება და მუშაობას იწყებს კოოპერატივი „გაჭირვების ტალ-კვესი“, რომელიც უფასოდ მოემსახურება დაბალხელფასიანებს!
- ხელმწიფურ ნაძვის ხესთან დაიდგმება ბუნებრივი ნაძვის ხეც!
- რამდენჯერმე ხარბად შეისუნთქეთ ბურნუთი და ისე დააცხივებთ, მეზობლებს საახალწლო ზათქი ეგონებათ!
- ოზონის სფერო რომ გაირღვა დიანოზის შარვალივით, ვინ უნდა დააქეროს?
- თუკი ქორწინებას განქორწინება უწერია, ამდენ წვალბად ღირს განათხოვრისა და ცოლგაშვებულის საბუთი?
- სიმპარული ყველა უნდა, მაგრამ ბევრი შვილი?..

ჯონი ბაჯერაშვილი


სურვილები

დაე, მომავალ წლიდან ვძლიოთ ტაში და ტუში და ვიყოთ უფრო წმინდა, ვიდრე ვიყავით გუშინ!
ნუ ვიქონიებთ იმედს ორპირი კაცის სიტყვის, „ზნედაცემული „მოძღვრის“, „განათლებული“ ბრიყვის, დამადლებული მადლის, გაკერპებული ვერცხლის, შემცივებული ადლის, მიხავლებული ცეცხლის, დამდოვრებული სისხლის, დაუფიქრებელ როშვის, ნახევრად მკვდარი ცოცხლის, გადმოგდებული გროშის, გაუნაფავი ხელის, დაშინებული ძუნწის, დაჟანგებული ცელის, გახშირებული ყლურწვის, დადუმებული ჩანგის, ჩამონგრეული ჭერის, გამრუდებული სარკის, მოყვრად მოსული მტერის!

ალმანოზი თაყაიძე

ნახ. ი. ყაინაშვილისა

ეროვნული
ლიბროთეკა



უსიტყვოდ

საახალწლო

დიდო გარდაქმნავ, გვინდა გეწამდეს: ახალ წელსაო ჩვენი ცხოვრების ხის ძირიდან გახვალ წვერსაო!..

კანონთ კრებულში მომდინარე ახალ წელსაო ჩვენს სასიკეთოდ მრავალს შეცვლილს ვნახავთ წესსაო!

ძმანო ქართველნო, დე, გაგვეგოს ახალ წელსაო, რომ ცენტრის პრესა ჩვენს სალანძღავს აღარ წერსაო!..

მიწას ვუვლიდეთ — ვერ ვხედავდეთ ახალ წელსაო გადაგდებულ და ჟანგისაგან ნახრავ ცელსაო!

ბოლოს და ბოლოს მოვსწრებოდეთ ახალ წელსაო: დეფიციტური საქონელი დახლსა ძევსაო!

პროლუქტთ სიუხვე არ გვეღირსა რახან ძველსაო, მოღით, ვისურვოთ: დაგვებედოს ახალ წელსაო!

...ვერ ავდიოდეთ კარგ საქმეთა ახალ წელსაო და კმაყოფილი ყველა გწევდეთ მაღლა ცერსაო!

თაგაზ ებანოიძე

სურათი

ივრო რისკა

12 თებერვალს შერთულმა ჩემმა წყნარმა მაიკომ მხოლოდ 25 დეკემბერს დამიწყო პირველმა საუბარი:

— გაგიუღბო, ზალიკო, ისეთი საყურე ვნახე გუშინ საკომისიოში, თან რა ფასად — 15 მანეთი.. არ გაგიუღბო?!

გაგიუღბოდი, აბა, რა დამემართებოდა! რახან ხმა ამოიღო, უსიტყვოდ გავუწოდე 20 მანეთი და სამსახურში წავიდე. იმავე საღამოს სათაყვანებელი მეუღლე საყურეებიან ყურებს მიტრიალებდა თვალწინ და ბედნიერი ჩანდა. მეც, ბედნიერი მეუღლე, ფხანაშეჩვეული გოკვივით კმაყოფილებით რომ ვნახავდი თვალებს, უწოგო სიამოვნებას განვიცდიდი.

— არ გაგიუღბო? — წამოისროლა ისევ მაიკომ.

— კი! — ვთქვი ბურანში მყოფმა.

— როგორ არ გაგიუღბო, ისეთი ქურქი ვნახე იმავე საკომისიოში, თბილისში 12005-ზე მეტ ქალს რომ არ აცვია, მერე რა ფასი აქვს!.. ფიი, რაღაც 1500 მანეთი!

— გაგიუღბო, ჩემო მაიკო, აბა, რა იქნება! შენ ქურქი მოგეწონა და თან რა ფასიანი ფიი, 1500 მანეთი!

რას მიქვია 1500 მანეთი სასიამოვნო მეუღლის სიამოვნებისათვის?! რაღაცა თუ არ მოგიფიქრე, „ვიძირება“!

— ხვალვე მოგართმევ, ჩემო ხულიკო! („ხულიკო“ ცოტა მაღალ რეგისტრში მამოვიდა და მაიკომ ექვიანად გადმოხედა). გამოტვირთული ვაქცი მერე დღეს სამსახურში. ტვინის მთლიანად გაქუცვტას რომ დათვლილი წუთები აკლდა, თავ-

ში ფერაღმა იღებო გაშინათა. ტელიფონს ვწვდი..

— ალო! — ამაღამ სახლში ვერ მოვალ, ხვალისთვის მასალას ვაგროვებ! — ჩაჯახე ყურმილს.

— ხვალ ხომ მოქურქდება, საყურელო? — დაიტკბო ისედაც რბილი ხმა მაიკომ.

— აბა, რა!.. გელოცნი! — ჩავპროშტენე ყურმილი. იმ დამეს შეგობართან მეძინა, მეორე დღეს, სახლში მისვლისთანავე, გოცნებულ მეუღლეს ვუპატიე, რომ მისი ქურქის საყიდლად გამოვიყირე.

— მერე?! — თვალებით შეღებზე დამაკვდა მაიკო.

— მერე!.. მერე, ჩემო ბატონო და, გამგებს ვკითხე, ვისი მოტანილი იყო ის ქურქი. იცი, რა შითხრა? სულ პირველად თურმე შორეული ცურვის გემის კაპიტანს მეუღლისთვის ჩამოუტანია უცხოეთიდან და მიურთმევია დაბადების დღეზე.

— აი, ქმარი! — აღტაცება ვერ დამალა მაიკომ. — მერე?! —

— რაღა მერე?!.. თუმცა მერე... ზუსტად სამი დღის შემდეგ ის ქალი მანქანას გაუტანია. იმ შორეული ცურვის კაპიტანს მეუღლე მიწისთვის მიუბარებია, ქურქი კი — საკომისიოსთვის 2000 მანეთად.

— რა შითხარი?! — თვალები ჩაუქრა თანამეცხედრებს.

— ამდგარა, ჩემო ბატონო, ჩვენ რომ შორიდან ვიცნობთ, ალბიონა წინწალაშვილი და დანაწოგი ფულით შექენილი ის ქურქი თავისი ფაშფაშა ქსენიასთვის მიუტანია სარვაშართო საჩუქრად.

— მიცვალეულის ნაცვამი, კაცო?

— აბა, რა გგონია შენ! ადამიანი რედეხა — ქურქი იყიდება!.. კიდევ კარგი, ისევ გავიგე, რომ ფაშფაშა ქსენა, ქმარმა ჩემს ქურქი მიართვა 8 მარტს, 14 მარტს გარდაცვალა კოდის ქათხის ქურქი და 1500 მანეთად შეფასებული კონწალობს საკომისიოში. ერთი სიტყვით, მივდივარ ახლა მე იმ ქურქის საყიდლად!.. მზიაა ქერ, მაქამე რამე!..

— სად მიდიხარ, ზალიკო უბედურ დღეზე გაჩენილო?! არ გაადა ფენი, თორემ ვიკლავ ამ ქვიანს თავს! — იკივლა მაიკომ.

— ჩემი კი ბიჭი, ჩემი კარგი ქმარი, ხომ არ მიყიდი? ახლავე დამპირდი, რომ იმ ქურქს არ მოაქაუნებ სახლში!.. დედა, დედა, დედა!..

— დწყნარდი, ქალო, შენ იყავი კარგად და ქურქი წყალმა წაიღოს, მაგაზე აკიშლი ნერვებს? — კაცი არ ვიყო, თუ თბილისური კოლგოტები არ მოგართვა, იმის, იმ ქურქის მომგონსაც რა ვუთხარი!

— ახე აჯობებს, ახე, ჩემო ქვიანო! — გადამეხვია ცოლი.

ეს ამ ახალ წელს... ვახიად რა წყალში ჩავვარდე? ვინ დახურავს ჩემი გასაჭირისთვის საკომისიო მაღაზიებს? არადა, მეორე ახალ წლამდე, უფრო სწორედ, 25 დეკემბრამდე რომ ხმა აღარ ამოიღოს?..

მურმან მარკვილიშვილი



თვალის პირთი უპვლაბით

კარორტ ბორჯომის სამკურნალო ეფექტი და ბუნება... სიღამაზე ყველასათვის ცნობილია!

ისიც ცნობილია, რომ ბორჯომი საქართველოშია!.. მაგრამ არა მგონია ყველამ იცოდეს, რომ ამ ქალაქში ქართულ ენას შესაფერი ყურადღება არ ექცევა! ამაში რომ დაგრწმუნდეთ, საკმარისია თვალი შევავლოთ ბორჯომის დანესებულეებისა და მაღაზიების აბრებს, წარწერებს, განცხადებებს... თითქმის ყოველი ფენის ნაბიჯზე ჩანს, რომ აქ ქართული უკანა პლანზეა გადაწეული ან მთლად უგულუბელყოფილია!


განსაკუთრებით ეს იგრძნობა ჩასვლისთანავე — სადგურში. აქ ავტობუსებზე, რომლებიც დამსვენებლებს ხვდებიან, მხოლოდ რუსული წარწერებია და ქართულის ჭაჭანება არაა! რკინიგზის სადგურის მოსაცდელში კარის გაღებისთანავე თვალში გვექმება უამრავი წარწერა და მონოდედა. ამათგან მხოლოდ ერთი განცხადებაა ქართულად: „ხუ მოსწვევო!“

ქართველს სიგარეტის მოწვევის გარდა არაფერი ეხება? ამდაგვარი მაგალითები ქალაქშიცაა!..

ცალკე უნდა შევხვთ ქართული ენის საკითხს ბორჯომის სანატორიუმებში. ვიცი, სანატორიუმების ხელმძღვანელები თავის გასამართლებლად იტყვიან: დამსვენებლები ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულები არიანო. ეს არგუმენტი მთლად დამაჯერებლად არ ჟღერს.

საქართველოს სანატორიუმებში სამკურნალოდ ჩამოსულთა უმრავლესობა ყოველთვის ქართული ენის არამცოდნე იქნება, უმცირესობა კი — ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი. გამოდის, რომ ჩვენი მშობლიური ენა ყოველთვის უგულუბელყოფილი უნდა იყოს?

მე-19 საკავშირო პარტიული კონფერენციის გადამწყვეტილებაში გარკვევითაა მითითებული, რომ ენის საკითხში უმცირესობასაც ანგარიში უნდა გაენიოს და მისი ინტერესები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიბღალოს!.. ეს დადგენილება საქართველოს სანატორიუმებში მყოფ ქართველთა უმცირესობას არ ეხება?



ნახ. მ. აბაშიძის


უსიტყვოდ

გივლა ზახტაძე

გილოცაუთ
უნად ნუნს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ.ბ. ზუბანაძისა



უსიტყვოდ და უსურსათოდ

წინასწარსულნი პინიატიშრა

— რა ღირს გოჭი?
— სამოცი!
— შენი?
— ორმოცად მოგცემ, მეჩქარება!
— ოცად მინდა!
— მოხარული ნაბლი არ გინდა?
ნაბლი უმი მერჩინა და ამიტომ არაფერი ვუპასუხე. მოულოდნელად თავში ბრწყინვალე იდეა მომივიდა:
— მეგობარო, ოცმანეთიან გოჭზე როგორა ხარ? — ამოვარჩიე ბაზარში მოფუსფუსე მიღეთი ხალხიდან ჩემსავით თხელი ბიჭი.
— ვაცივითა ვარ! აბა, სად არის?
— აი, ნახე, ხარივით თვალები აქვს, ოც-ოცს დავდებთ და ჩვენია!
— მერე, როგორ გავიყოთ?
— შუაზე!

— ტეხს!
— არ გატეხს, დანით გაჭრის! ნახევარი — შენ, ნახევარი — მე!
— ტეხს!
— რა ტეხს?
— ნახევარი. აი, თავს თუ გამატან, გაასწორებს!
— მამა გიცხონდა! თამადამ რომ მომთხოვოს, რა ვქნა?
— შაურიანი ავაგდოთ!
— ავაგდოთ! რეშკა ჩემია!
ის იყო, შაურიანი მოვიმარჯვე, რომ ჩვენმა ხარისთვალა გოჭმა ცისფერთვალემა მანდილოსნის ჩანთაში მოაძინა ტყაპანი...
— გატეხა! — ჩაილაპარაკა ჩემმა მეპაიემ და ტეხილი ტრაექტორიით „მოხარული ნაბლის“ მაძიებელთა ახალ ჯგუფს შეუერთდა.

თამაზ კახრაძე

ღია ბარათი მეზობელს


საფიხენოს ბოლოს მე ვსახლობ, საფიხენოს თავში შენა ხარ, საჯაროობამ გვიშველა, ერთურთის გული გვენახა, სამზეოდ გამოგვეტანა, რაც შიგნით გადაგვენახა!..
მრავალი ნელი ერთი მზით და ერთი ცეცხლით ვინვოდით, ერთურთს არ ვულალატებდით! — ასე გენამდა და ვიცოდით, მაგრამ ერთმანეთს მე და შენ თურმე სულაც ვერ ვიცნობდით!..
შენ — მქონებელი, მაღალი, მე — პატარა და ღარიბი, შენ — თურმე გულჩახვეული, მე — გულგახსნილი, არიფი, ნუგბარს გიკრეფდი, გაჭმევი ჩემი ბაღნარის ჩეროდან, მიღიმოდი და ვხარობდი, თეთრი კბილების მჯეროდა!..
მგლის ხროვას ერთად ვთოფავდით, ერთად ვმღეროდით, ვტიროდით, თავს განონებდი, როგორც ძმას, სუფრით და შრომის გმირობით!.. სიტყვას მეტყოდი, მჯეროდა საფიხენოს თავში მჯდომელის, როგორც უფროსი ძმისა და სოფლისთვის კარგის მნდომელის!
მადლობა საჯაროობას, რომ აგვიხილა თვალები, ადექ და პირში მაჯახე, არ გნამვარ, არ გებრალეები!
არც სუფრა ვარგა ჩემი და არც ხილ-ბოსტანი დამტყნარი, არც კალმახობა მიხედება, არც ჭაშნიკი ღირს „ხვანჭყარის“!.. ჯიმიც საეჭვო მქონია — ვერაგთა შთამომავალის, თურმე სულ ჩემი ბრალია მამა-პაპათ ცოდვა მრავალი!..
... რომ გაგიჩუმდე, ვაითუ თავი გეგონოს მართალი, მე კი — სალანძღავ-სათრევი, ჭირიანი და ართვალი!..
იქნებ ბევრი გვაქვს-საერთო, ავად ვართ ერთი ჭირითა?! ჯერ თავის მკვდარი ვიტყვით, სხვისას რაისთვის ვტირითა?!
ერთმანეთს ვერ გავეცევი, ერთი გვაქვს საძმო, სახატე, ეგ კი უფალმა მოგკითხოს, მე რომ საქოყნოდ გამხადე!..

შოთა არაბული
(ყაზბეგის რაიონი)



საახალწლო ესტაფეტა

ნახ. ნ. ასლამაზიანი




უსიტყვოდ

ლონიდ სუბორუკოვი

(ქ. კიევი)

აზრებთან პირისპირ



- **კონკურსი** გამარჯვებულებს თოვლის პაპამ სა-ახალწლო პირველობის ნაძვის ხე გადასცა.
- **საგანგებო** შემთხვევა: ახალწლის ღამეს პირველად ჩაესმა საკუთარი სინდისის ხმა.
- **თოვლის** პაპას აფორიზმი: „ფასების ანეგით ჩვენ ვყი-ნავთ მომხმარებლებს!“
- **საჯაროება** — ეს სინდისის ხმის ამაღლება!
- **შიშვალ** მეფეებს შიშველი ადმინისტრირება შვენივ.
- **გაიგრაფიული** პარადოქსი: რაც უფრო ახლოსაა ჩრდილოეთი, ბაზარზე მით უფრო იგრძნობა სამხრეთი.
- **გარდაქმნის** სიოს დაქროლება ზოგის თავში ორპირ ქა-რად გადაიქცა.
- **გოდაგილის** ძებნისას უფროსი უარს ამბობდა თავის-ზე ჭკვიანებზე, ოღონდ ვერც თავისზე სულელებს პოულობდა.
- **მის** სინდისს გაციებულის ხმა ჰქონდა.
- **მეტამორფოზა**: იაფი პოპულარობა კომპერაციული ფა-სით?! რას უნდა ნიშნავდეს?
- **დახმარების** ხელს მხოლოდ იმისათვის უნვდიდა, რომ რაც შეიძლებოდა, მეტი აეღო.

თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა



ნახ. დ. თოთიბაძისა

უსიტყვოდ

სარცხლები

- **როცა** უსამართლობა კლებულობს, გულახდილობა მატულობს.
- **დესპოტიზმისა** და **შიშის** დროს მლიქვნელობა ყვავის.
- **ღამაზე** სიცრუეს ხეპრე სიმართლე სჯობია.
- **ცხოვრება** რომ ძვირდება, სინდისი კნინდება.

მხოლოდ შრომით და სიკეთით ძალუძს კაცს, პოვოს სახელი, ვერ გაანათებს უკუნსა, თუკი არ იწვის სანთელი!

მშენებლობისთვის მრუდე ქვა ოსტატმა უნდა გაკუთხოს, უზნეო შვილი მშობელმა თვითონვე უნდა დატუქსოს!

დრომ მოკლა ურჩხულის მძლევიც, მიზეზი ყველას უპოვა, მაგრამ კაცისა კარგ სახელს, სიკვდილმაც ვერა უყო რა!

არ მიმანია დიდ საქმედ, მტერს უმტრო, როგორც მეკობრეს, კაცად მაშინ ხარ საქები, თუკი მტერს დაიმეგობრებ!

ზოგჯერ ცბიერს და მომხვეჭელს რატომა ვხვდებით პატივით, რად ვუქებთ სიტყვას ან აზრებს, როცა ყიყინებს პატივით?

ასეც კი ხდება, რომ ზოგჯერ, ღირსეულს ვიკლებთ გინებით, როცა მოკვდება, ვნანობთ და მის სახელს ვამკობთ დიდებით!

ლადო ხვედურაული



გაფრთხილება

საშობაო წირვის დასასრულს პასტორმა მრევლს მიმართა: — ძმებო და დებო, მინდა გავაფრთხილოთ, რომ შესანიშნავ ყულაბაში ღილი აღარ ჩაადგოთ! უკანასკნელი მონაცემებით, ციური ანგელოზები „ელვა-შესაკრავზე“ გადავიდნენ.

თავზარი

მოსვლამ დიასახლისთან მიიღობინა და შეშინებულმა შესძახა: — ქალბატონო! ქალბატონო! მუსიე ცუდად არის.. იატაკზე დავარდა, ხელში რაღაც ანგარიში აქვს ჩაკუმშული და ხმაშაღლა კენესის! — ჩინებულაია.. მაშასადამე, ჩემი საახალწლოდ შევევლითი კაბა უკვე მოუტანიათ!

უნდობლობა

ქალბატონმა დელბასტმა საახალწლოდ მიწვეულ მომღერალს მიმართა: — თქვენ ახლავთ დაიწყებთ სიმღერას თუ დააცდით სტუმრებს, ცოტა რომ გამხიარულდნენ?

სიუჟატი

სახალწლო წვეულების მეორე დღეს ტელეფონმა დარეკა. — მომიტევე, ძვირფასო! კარგად მახსოვს, წინადადება მოგვცით, რომ ცოტად გამომყოლოდი, მაგრამ დამავინწყდა, თანხმობა მითხარი თუ არა? — მე ის მახსოვს, „კი“-მეთქი, რომ ვთქვი, მაგრამ ის აღარ ვიცო, შენ გითხარი თუ სხვას!

ბიწი

პატარა პიერმა საახალწლო საჩუქრად კუ მიიღო. დიდხანს შესცქეროდა, როგორ ცოცხადა, და მერე დედას სთხოვა: — დედიკო, სახურავი ახადე, მინდა ხელი გადავუსვა!

ძილიკი

— **უბრალოდ** სასაცილოა, — თქვა სხდომაზე საახალწლოდ ბინების გამწვანებელი კომისიის თავმჯდომარემ, — გასანაწილებლად ხუთი ბინა მოგვცეს, კომისიაში კი ექვსნი ვართ..

სახალწლო მასპარაღზე

— **შახადათ**, შეხედეთ, მშვენიერო, აიბ მასხარას, პაპიე-მაშეს დიდი ცხვირი რომ აქვს! — ჯერ ერთი, მასხარა კი არა, ჩემი ქმარია, და, მეორეც, ის ცხვირი პაპიე-მაშეში კი არა, მისი საკუთარია!

დისკოთეკა

ორმა ძაღლმა ახალ წელს დისკოთეკაში შეიხედა. — მე რომ ეგრე ვიკლანებოდე, — უთხრა თავის ქნევით ერთმა მეორეს, — ჩემი პატრონი დაუყოვნებლივ რწყილების საწინააღმდეგო შამპუნით დამბანდა.

დაუდევრობა

სახალწლო შეხვედრაზე რომ არ დაჰკვირანებოდათ, პიერი და ჰილმერი ავტომობილს მთელ სიჩქარით მიაქროლდნენ. ისინი რკინიგზის გადასასვლელს მიადგნენ.

— შენ მარჯვნივ იყურე! — უთხრა სხაპასუხით თანამგზავს, — მე კი მარცხნივ მეჭირება თვალი, მატარებელს რომ არ შევასკედო!

რამდენიმე წამში საშინელი გრუხუნი გაისმა და როცა მეგობრებმა მანქანის ნამსხვრევებიდან გამოაღიეს, ჰილმერმა თქვა: — წინაც უნდა გაგვეხედა, მაშინ შევამჩნევდით, რომ შლაგბუმი დაეკეტილი ყოფილა.

ასოციაცია

ბატონი ლუნდბერგი ბაზრიდან რომ გამოვიდა, ვერა და ვერ დაქოქა თავისი ავტომობილი. მერე დასაქოქი სახელური ამოიღო და ხელით დაუწყო ძრავას ტრიალი. ამ დროს მას ბეცი მოხუცი მიადგა, ვერცხლის მონეტა გაუნოდა და ჰკითხა: — უპატრონავად, კეთილო კაცო, თქვენი არღანი „საშობაო ვალსს“ ვერ დაუკრავს?

გაუბებრობა

ახალ წელს მეგობრის ოჯახში სტუმრად მიწვეულმა ბატონმა ვინკლერმა ყავის დაღვევის შემდეგ ჩიბუხი ამოიღო და დიასახლისს ჰკითხა: — ნებას დამრთავთ, თამბაქო რომ მოვნიო?

— მოიქეცით ისე, როგორც საკუთარ სახლში — გაუღიმა ქალმა თავზიანად.

— **საწყენია!** — თქვა ვინკლერმა და ჩიბუხი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

იმედის გაცრუება

მეფ-მხარაულმა შეგირდს დაავალა ტორტიზე დაენერა: „გილოცავთ ახალ წელს!“

— აბა, როგორ არის საქმე? — ჰკითხა რამდენიმე ხნის შემდეგ.

— ყველაფერი რიგზეა, ოღონდ ძალიან გამიჭირდა ტორტის სანერ მანქანაში შერჩა..

ზარის მოღება

ქვემო სართულზე მცხოვრები სმიტის მეზობელი ხშირად ჩიოდა, მაღლიდან ხმაური მოსვენებას არ მძაღვესო.

ერთხელ სმიტი დილადრიან ქალაქიდან გაემგზავრა და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა. დილით მეზობელს ჰკითხა, გუშინაც რამე ხმა ხომ არ გაგიგონიათო?

— როგორ არა, თქვენ ისევ მთელ ღამეს იატაკზე ფეხებს აბაკუნებდით..

— ყველაფერი გასაგებია, — თქვა სმიტმა, — მე კი ქალაქიდან ვიყავი გასული, მაგრამ ეტყობა, საახალწლო ნაძვის ხეს წინვები სცივოდა.

უმტლანდიურ ოჯახში

— **გასული** წლიდან ხომ არ დაგვრჩენია ერთი ბოთლი შამპანური? — იკითხა ქმარმა.

— **დარჩა**, — მიუგო ცოლმა, — მაგრამ მე ის მომავალი წლისათვის შევიზახე.

ლატარია

საშობაო მეჯლისზე გათამაშდა საქველმოქმედო ლატარია ყველაზე ღარიბთა დასახმარებლად. დიუპონმა ათი ბილეთი იყიდა და წაავსო. ქუჩაში რომ გამოვიდა, დაინახა გლახა, რომელიც მოწყალებას ითხოვდა.

— **ეგლა** მაკლია, — ნაიბურდღუნა დიუპონმა უკმაყოფილოდ, — შენს გამო ისედაც ხუთასი ფრანკი დაგვარგე!

გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა



საბჭოთავი დასავლური შტო
საბჭოთავი
№ 24 (1778). დეკემბერი.
გამოცემის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ იფიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა აშირეჯიანი, **ნოზაიდი**
ბარათია, **ზორის გურგუ-**
ლია, **რევაზ თვარაძე**, **ჭე-**
მალ ლოლუა, **ნოდარ შა-**
ლაზონია (მხატვარ-რედაქტორი),
ილიქსანდრე სამხ-
ხონია, **ბეგენ სხარულიძე**
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), **ჭანსუდ ჩარკვი-**
ნი, **თამაზ წიფჩიავაძე**, **ნა-**
ფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაცემა ასაწყობად
18. 11. 88 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 14. 12.
88 წ. ქალაქის ზომა
60 X 90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს კ-
ცვის გამომცემლობა,
ლენინის 14. შეეკ. 2937.
უფ. 04810 ტირაჟი 136.000
ქურნალი გამოცემის თვეში
ორჯერ. რედაქციაში შემო-
სული მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მულაჟების — 99-02-38,
მდივან-მემაწვანის —
99-76-69.



Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издатель-
ство ЦК КП Грузии,
Ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

88-788

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7-88



— უმე კანი კაცო, ხუთი მანეთისთვის იხრამო
თავს?!




უსიტყვოდ

ბაჟან გოგონა

ქ. სამტრედიო

სამტრედიო

ღალატს მათავო, ნუ ღაოჯღუებთ უვილავს!



ჭ.

— რა ამბავია, ბიჭო, ამდენ
ორიანი?! ესაა, რომ დამპირდი
გარდავიქმნებიო?

უსიტყვოდ